



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZESTAFONI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ22. 222324418

თარიღი:01/09/2023

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტი, „ე“ პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე და 54-ე მუხლების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის N283 ბრძანების „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ), მე-4-ე დანართის მე-4-ე პუნქტის, „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024 -2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე“ 2023 წლის 10 მარტის Nბ22.222306911 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2023 წლის 29 აგვისტოს N2 ოქმისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ია ჭუმბაძის 2023 წლის 01 სექტემბრის N05-222324489 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დამტკიცდეს:

ა)ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დანართი N1 შესაბამისად;

2. დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს (ბატონ ვიტალი ჩინჩალაძეს) მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, პროგრამები/ქვეპროგრამების/ღონისძიებები, მათი მიზნები, აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონული სასამართლოში (მის: წერეთლის ქN7).

